ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

ქ. თბილისი
2018

წინასიტყვაობა

ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა, როგორც ადამიანის უფლებათა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დარღვევა, ძალთა უთანასწორობის გამოვლენას წარმოადგენს და გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის სტრუქტურული ბუნებით ხასიათდება.

ქალთა და გოგოების მიმართ ძალადობის აღმოფხვრა მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის და ხელისუფლების მხრიდან მოითხოვს პასუხს სათანადო, ეფექტიანი პოლიტიკის გატარებით.

სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს კომპლექსური და კოორდინირებული ღონისძიებები, და სისტემურად უპასუხოს ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობის ყველა ფორმას.[1]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი ინსტიტუტის პასუხისმგებლობას, იგი მთლიანი სახელმწიფოს, საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა და საჭიროებს სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინირებულ თანამშრომლობას.

„ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა" წარმოადგენს ეროვნულ ჩარჩო დოკუმენტს, რომელიც აერთიანებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციის მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებებს. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და საქმიანობები ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის (CEDAW), გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისა და ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშებში მოცემულ რეკომენდაციებს[2] და პასუხობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვევცია) მოთხოვნებს.

2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის შედგენისას, დეტალურად გაანალიზდა პირველი ხუთი სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასებიდან მიღებული გამოცდილება.[3] სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სტამბოლის კონვენციით განსაზღვრული დებულებებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის გენდერულ ხასიათს და ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ფენომენს გლობალურ ჭრილში განიხილავს. „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018 - 2020 წლების სამოქმედო გეგმის" ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად, განისაზღვრა ინდიკატორები, საბაზისო და სამიზნე ნიშნულები როგორც მიზნების, ისე ამოცანების დონეზე.

---

[1] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

[2] ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, 2016, იხილეთ : http://www.parliament.ge/uploads/other/75/75719.pdf

[3] 2007-2008წწ.; 2009-2010წწ.; 2011-2012წწ.; 2013-2015წწ; 2016-2017 წწ.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა სახელმწიფოს პრიორიტეტს წარმოადგენს, რისი დასტურიც გახლავთ ბოლო პერიოდში განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. 2017 წელს საქართველომ მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ რატიფიცირება[4], რის შედეგადაც, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება. 2017 წლის ივნისში მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის დებულება, რომლის საფუძველზეც აღმასრულებელი ხელისუფლებაში პირველად შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციური მექანიზმი. სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებთან ერთად, უწყებათაშორისი კომისია თავისი მანდატის ფარგლებში მონიტორინგს გაუწევს „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018 - 2020 წლების სამოქმედო გეგმით” განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებას.

უწყებათაშორისი კომისიის მიერ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე შემუშავდა ეროვნული საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად განისაზღვრა 2018-2020 წლებში განსახორციელებელი საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. საქმიანობების შესახებ ინფორმაცია მოცემული იქნება სამთავრობო უწყებების მიერ, „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018 - 2020 წლების სამოქმედო გეგმის” შესრულების შესახებ მომზადებულ ანგარიშებში.

მიუხედავად ბოლო პერიოდში განხორციელებული პოზიტიური ცვლილებებისა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ჩვენი ქვეყნისათვის, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. გამომწვევ მიზეზთა კომპლექსური ხასიათი მნიშვნელოვნად აბრკოლებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენასა და მათ შემცირებას.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობას აქვს მყარი პოლიტიკური ნება დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ფორმისაგან, მოახდინოს პრევენცია, ეფექტიანად გამოიძიოს და განახორციელოს ინტეგრირებული პოლიტიკა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ.

სოფო ჯაფარიძე
საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა
და გენდერული თანასწორობის საკითხებში

[4] ევრო საბჭო, ევრო საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ, 2011, იხილეთ: https://rm.coe.int/168046031c

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად საქართველოს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

მუხლი 2

1. სამოქმედო გეგმის წარმატებულად განხორციელების მიზნით:
   ა) დაევალოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას (შემდგომში – უწყებათაშორისი კომისია) სახელმწიფო უწყებების/დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი, გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებაში მონაწილეობა და სამომავლო საქმიანობების დაგეგმვა;
   ბ) სახელმწიფო უწყებებმა/დაწესებულებებმა უზრუნველყონ სამოქმედო გეგმის შესრულება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში;
   გ) ეთხოვოთ საქართველოს საერთო სასამართლოებს და სამოქმედო გეგმაში ჩართულ სხვა უწყებებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება.
2. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სახელმწიფო უწყებებმა/დაწესებულებებმა სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიშები წარუდგინონ უწყებათაშორის კომისიას ექვს თვეში ერთხელ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი
გიორგი კვირიკაშვილი

მიზანი	ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულე-ბის ვადა
1. ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკა ეფექტიანია და პასუხობს მსხვერპლთა/ დაზარალებულთა საჭიროებებს **ინდიკატორი 1.1** მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეკომენდაციების რაოდენობა რომელიც ასახულია ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში; **საბაზისო:** 0 (2017) **სამიზნე:** 50% (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში) **ინდიკატორი 1.2** რეციდივის მაჩვენებელი; **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს; **სამიზნე:** შემცირება 5% (წყარო: განისაზღვროს 2018 წელს)	**ამოცანა 1.1** კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან	**ინდიკატორი 1.1.ა** სტამბოლის კონვენციის ნორმების %, რომელიც ასახულია კანონმდებლობაში **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს; **სამიზნე:** 90 % (წყარო: სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნე) **ინდიკატორი 1.1.ბ** გაეროს სპეციალური მომხსენებლის ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ საქართველოს ანგარიშში ასახული შესრულებული რეკომენდაციების % **საბაზისო:** - განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** 90 % (წყარო: უწყებათაშორისი კომისია) **ინდიკატორი 1.1.გ** შექმნილი სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტი და სტატისტიკა ხელმისაწვდომია **საბაზისო:** არ არსებობს (2017) **სამიზნე:** ერთიანი სტანდარტი შექმნილია,სტატისტიკა ხელმისაწვდომია (წყარო: უწყებათაშორისი კომისია)	1.1.1 სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა და არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მომზადება და პარლამენტში წარდგენა	უწყებათაშორისი კომისია	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2018-2019
			1.1.2 ეროვნული რეფერალური მექანიზმის დამტკიცება	საქართველოს მთავრობა		2018
			1.1.3 სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის შექმნა	უწყებათაშორისი კომისია	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	2018 - 2019 პირველი კვ.
			1.1.4 სტატისტიკის წარმოება და მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს საერთო სასამართლოები, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	2019-2020
			1.1.5 უწყებათაშორისი კომისიის მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანურ რესურსებით უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობა		2018-2019
			1.1.6 გადაუდებელი სიტუაციების დროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე მრავალ-სექტორული საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
	ამოცანა 1.2 შექმნილია და ფუნქციონირებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა	**ინდიკატორი 1.2.ა** მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის არსებობა **საბაზისო:** არ არსებობს (2017) **სამიზნე:** შექმნილია და ფუნქციონირებს (წყარო: უწყებათაშორისი კომისია) **ინდიკატორი 1.2.ბ** იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებმაც პლატფორმის ფარგლებში განახორციელეს თემატური ღონისძიებები **საბაზისო:** რაოდენობა 0 (2017) **სამიზნე:** ზრდა 10 % (წყარო: უწყებათაშორისი კომისია)	1.2.1 მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის შემუშავება არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირების მონაწილეობით	უწყებათაშორისი კომისია	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2018 მე3 კვ.
			1.2.2 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება და წარდგენა მუნიციპალიტეტებისათვის	უწყებათაშორისი კომისია	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო , საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2018 მე-4 კვ.
		ინდიკატორი1.2.გ იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებმაც განხორციელეს ცვლილებები ადგილობრივ ნორმატიულ აქტებსა და პოლიტიკის დოკუმენტებში რეკომენდაციების შესაბამისად **საბაზისო:** - 0 (2017) **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: უწყებათაშორისი კომისია)	1.2.3 პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხთა ინტეგრირების მიზნით მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა	უწყებათაშორისი კომისია	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2018-2019-2020

მიზანი	ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულე-ბის ვადა
2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (დაზარალებულებს) ხელი მიუწვდებათ და სარგებლობენ დაცვისა და დახმარების ხარისხიანი მომსახურებებით **ინდიკატორი 2.1** იმ ქალთა პროცენტული რაოდენობა, რომელთაც ძალადობის შემთხვევაში მიმართეს ან/ და ისარგებლეს სახელმწიფო სერვისებით **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** ზრდა X% (განისაზღვრება 2018 წელს) (წყარო:- ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია) **ინდიკატორი 2.2** მსხვერპლთა მაღალი კმაყოფილება სპეციალიზებული მომსახურებებით; **საბაზისო:** 95 % (2016) **სამიზნე:** 95-100% (წყარო: ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრის) მონიტორინგის ანგარიში)	**ამოცანა 2.1** სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობები გაზრდილია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვისა და დახმარებისთვის	**ინდიკატორი 2.1.ა** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული კადრების ან/და ერთეულის არსებობა **საბაზისო:** 2 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო); **სამიზნე:** 3 (წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, უწყებათაშორისი კომისია) **ინდიკატორი 2.1.ბ** ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ, მათ უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების თაობაზე, შიდა ინსტრუქციების რაოდენობა **საბაზისო:** 0 (2017) **სამიზნე:** 5 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) **ინდიკატორი 2.1.გ** გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა საბაზისო:3921 (2017 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით) = 100% სამიზნე: ზრდა 5% (წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2.1.1 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში (სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში) მოქმედი თავშესაფრებისა, კრიზისული ცენტრების და ცხელი ხაზის მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდისთვის გამოყოფილ ასიგნებებში აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებას	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
			2.1.2 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის პროგრამებში სათანადო ფინანსური რესურსების გამოყოფა სექსუალურ ძალადობის მსხვერპლთა მომსახურებისთვის	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
			2.1.3 სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსთვის გამოყოფილ ასიგნებებში მათ გათვალისწინებას	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
			2.1.4 ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკთა რაოდენობის ზრდა 10-30% ით	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		2019-2020
			2.1.5 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) იდენტიფიცირების მექანიზმების შემუშავება/გაუმჯობესება	უწყებათაშორისი კომისია		2018 მე4 კვ.
			2.1.6 სტრენინგო მოდულების მომზადება პროფესიული უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად ა. სოციალური მუშაკებისთვის ბ. ფსიქოლოგებისთვის გ. სოციალური აგენტებისთვის დ. მასწავლებლებისთვის ე. მანდატურის სამსახურისთვის ვ. ჯანდაცვის მუშაკებისათვის ზ. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებისათვის	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ -ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი , სსიპ -სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური,სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია		2018-2019-2020

მიზანი	ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულე-ბის ვადა
			2.1.7 პროფესიული უნარ ჩვევების გაძლიერება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის საკითხებზე: ა. სოციალური მუშაკებისთვის ბ. ფსიქოლოგებისთვის გ. სოციალური აგენტებისთვის დ. მასწავლებლებისთვის ე. მანდატურის სამსახურისთვის ვ. ჯანდაცვის მუშაკებისათვის ზ. სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებისათვის	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი , სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური,სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.		2018-2019-2020
			2.1.8 სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება/ განზოგადება სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული დებულებების გამოყენების თაობაზე და რეკომენდაციების შემუშავება	საქართველოს უზენაესი სასამართლო	უწყებათაშორისი კომისია	2018-2019(1. კვ)
			2.1.9 სტამბოლის კონვენციის მიხედვით მოსამართლეების გადამზადება	სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა	საქართველოს უზენაესი სასამართლო	2019
			2.1.10 პროკურორთა სპეციალიზაციის გაძლიერება ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე (მათ შორის, წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი)	საქართველოს მთავარი პროკურატურა		2018-2019-2020
			2.1.11 პოლიციელთა სპეცილიზაციის გაძლიერება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (მათ შორის, წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინეგი)	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019-2020
			2.1.12 საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებისთვის ოჯახური დანაშაულების შესახებ რეკომენდაციების განახლება საჭიროებისამებრ	საქართველოს მთავარი პროკურატურა		2018-2019-2020
			2.1.13 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველყოფისათვის სისხლის სამართლის საქმეების მუდმივი მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა. საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება ან განახლება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა		2018-2019-2020
			2.1.14 განზოგადება/კვლევა შემაკვებელი ორდერების გამოყენების პრაქტიკის თაობაზე პოლიციელთა მიერ	უწყებათაშორისი კომისია	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2019 1 კვ.
			2.1.15 განზოგადება/კვლევა შემაკვებელი და დამცავი ორდერების გამოყენების პრაქტიკის თაობაზე საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში	საქართველოს უზენაესი სასამართლო	უწყებათაშორისი კომისია	2018-2019

მიზანი	ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულე-ბის ვადა
	ამოცანა 2.2 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) განკუთვნილი მომსახურებები გაუმჯობესებული და/ან განვითარებულია	**ინდიკატორი 2.2.ა.** ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისულ ცენტრებში სერვისის მიმღებთა რაოდენობა **საბაზისო:** 121 (დამოკიდებული არასრულწლოვანი პირი 39) (2017). **სამიზნე:** ზრდა 15% (წყარო: სახელმწიფო ფონდის სტატისტიკა) **ინდიკატორი 2.2.ბ.** ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში სერვისის მიმღებთა რაოდენობა **საბაზისო:** 307 (აქედან დამოკიდებული არასრულწლოვანი პირი 162) (2017). **სამიზნე:** ზრდა 5% (წყარო: სახელმწიფო ფონდის სტატისტიკა) **ინდიკატორი 2.2.გ.**ძალადობის მსხვერპლთა დახმარების უფასო საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) მეშვეობით სერვისის მიმღებთა რაოდენობა **საბაზისო:** 2135 (2017). **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: სახელმწიფო ფონდის სტატისტიკა) **ინდიკატორი 2.2.დ.** სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობით ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის სერვისის მიმღებთა რაოდენობა **საბაზისო:** 123 (მათ შორის 17–მა ბენეფიციარმა ისარგებლა სასამართლოში წარმომადგენლობით; 106–მა ისარგებლა იურიდიული კონსულტაციით, ამათგან 14–ს მოუმზადდა სამართლებრივი დოკუმენტი) (2017). **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის სტატისტიკა)	2.2.1 სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის ჯანდაცვის მომსახურებების პროგრამული უზრუნველყოფა	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
			2.2.2 ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაძლიერების უზრუნველსაყოფად სტანდარტული ოპერაციული პროცედურების დანერგვის პილოტური პროგრამის განხორციელება და მისი შედეგიანობის ანალიზი	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	2019-2020
			2.2.3 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (სავალდებულო) აკრედიტებული ელექტრონული სასწავლო მოდულის შექმნა და ინტეგრირება უწყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	2019-2020
			2.2.4 კრიზისული ცენტრების ქსელის გაფართოება რეგიონებში და სახელმწიფო ფონდის ქვეშ არსებული თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი		2018-2019-2020
			2.2.5 მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური, რეაბილიტაციის სტანდარტიზების სახელმძღვანელოების შექმნა და დანერგვა	სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი		2018
			2.2.6 იურიდიული დახმარების სერვისის მიწოდება ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლისთვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური		2018-2019-2020
			2.2.7 დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების, მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019
			2.2.8 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სსიპ - 112-ში შემოსული შეტყობინებების ანალიზი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019-2020
			2.2.9 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტის შექმნა და დანერგვა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019
			2.2.10 შშმ, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ქალების ძალადობის რისკებისა და საჭიროებების კვლევა	უწყებათაშორისი კომისია		2019
			2.2.11სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მექანზმის გაუმჯობესება/დახვეწა	უწყებათაშორისი კომისია		2018

მიზანი	ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულე-ბის ვადა
3. საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ; * საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით განხორციელებული საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები დეტალურად განისაზღვრება უწყებათაშორისი კომისიის საკომუნიკაციო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით **ინდიკატორი 3.1** მოსახლეობის % (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ ამართლებს ქალის მიმართ ფიზიკურ ძალადობას; **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია) **ინდიკატორი 3.2** მოსახლეობის %, რომელსაც მიაჩნია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა კერძო საკითხია და მას ოჯახის საქმედ მიიჩნევს; **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** შემცირება 10% (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია) **ინდიკატორი 3.3** გადაუდებელი დახმარების ცხელ ხაზზე 112 მიმართვიანობა იმ პირთა მხრიდან, რომლებიც არ იყვნენ ძალადობის შემთხვევაში ჩართულნი. **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** ზრდა 10%, (წყარო: სსიპ - 112)	**ამოცანა 3.1** სახელმწიფო სტრუქტურებში დანერგილია და ხორციელდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმების, დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პრევენციის ხელშემწყობი მექანიზმები	**ინდიკატორი 3.1.ა**. სახელმწიფო სტრუქტურების რაოდენობა, რომელმაც შეიმუშავა პრევენციის მექანიზმები **საბაზისო:** 0 (2017) **სამიზნე:** 3 (წყარო: უწყებათაშორისი კომისია) ინდიკატორი 3.1.ბ. იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ძალადობრივი ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამები მოძალადე მსჯავრდებულთა რაოდენობა **საბაზისო:** 2017 წლის განმავლობაში ქცევის კორექციაზე ორიენტირებულ პროგრამებში ჩართული იყო შემდეგი რაოდენობის ბენეფიციარი: “სასარგებლო უნარების განვითარების პროგრამა” - 66 ბენეფიციარი; “პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობებში” – 33 ბენეფიციარი; 2017 წელს მოძალადე პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა სულ იყო 652 პირი. აქედან, ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაერთო და სრულიად გაიარა 67-მა პირმა, ხოლო ძალადობის რაობა და ძალადობისგან დაცვის საკანონმდებლო მიმოხილვა (ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ტრენინგი) გაიარა 21 -მა პრობაციონერმა. **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სსიპ -არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო) დამცავი ორდერის მქონე ბენეფიციარების რაოდენობა **საბაზისო:** 0 (2017) **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: უწყებათაშორისი კომისია) **ინდიკატორი 3.1.გ.** განხორციელებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და დანერგილია GPS ელექტრონული მონიტორინგის სისტემა მოძალადეებისათვის (სამაჯურები) **საბაზისო** არ არსებობს (2017) **სამიზნე:** საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია და დანერგილია GPS ელექტრონული მონიტორინგის სისტემა მოძალადეებისათვის (სამაჯურები) (წყარო: სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო / საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო)	3.1.1 ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია და ხორციელდება შესრულების მონიტორინგი	უწყებათაშორისი კომისია		2018 (დამტკი-ცება) -2019-2020
			3.1.2 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის განმახორციელებელი და მომსახურების მიმწოდებელი უწყებების მიერ, წინამდებარე სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, ყოველწლიური შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება ან უკვე არსებულ შიდა ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი), საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მესნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო		2018-2019-2020
			3.1.3 მოძალადე მსჯავრდებულებისთვის ქცევის კორექციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო		2018-2019-2020
			3.1.4 ქცევის კორექციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება იმ მოძალადეებისათვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი	უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
			3.1.5 ელექტრონული მონიტორინგის სამაჯურების დანერგვა მოძალადეებისთვის	უწყებათაშორისი კომისია	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	2018-2019-

მიზანი	ამოცანა	ამოცანის ინდიკატორი	საქმიანობა	პასუხისმგებელი უწყება	პარტნიორი უწყება	შესრულე-ბის ვადა
	ამოცანა 3.2 საზოგადოების ცნობიერება ამაღლებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და სახელმწიფო სერვისების შესახებ	**ინდიკატორი 3.2.ა** მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომელსაც მიაჩნია, რომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს პარტნიორს, მაშინაც კი როდესაც არ ეთანხმება მას **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** შემცირება 10%-ით (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია) **ინდიკატორი 3.2.ბ**.მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომლისთვისაც ცნობილია კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია) **ინდიკატორი 3.2.გ** მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომლისთვისაც ცნობილია ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების შესახებ შესახებ **საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს **სამიზნე:** ზრდა 10% (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია)	3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ან/და ტრენინგების განხორციელება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო		2018- 2019- 2020
			3.2.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო, სპორტული ან/და შემოქმედითი ღონისძიებების განხორციელება თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, უმცირესობის წარმომადგენლებთან 3.2.2.1 ეთნიკურ უმცირესობებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა 3.2.2.2 ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებით განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ -საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, უწყებათაშორისი კომისია 3.2.2.1 სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი 3.2.2.2 სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახური,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2018- 2019- 2020